საქართველოს პარლამენტის აპარატსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატს შორის ურთიერთთანამშრომლობის

მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

დაბა ჩაქვი **2018 წლის 14 ივნისი**

საქართველოს პარლამენტის აპარატი (შემდგომ – პარლამენტის აპარატი) წარმოდგენილი პარლამენტის აპარატის უფროსის, გივი მიქანაძის, სახით, და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატი (შემდგომ – უმაღლესი საბჭოს აპარატი), წარმოდგენილი უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის, მაია ხაჯიშვილის, სახით (შემდგომ – მხარეები), ხელმძღვანელობენ თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპებით და მხარეებს შორის ურთიერთობების გაღრმავებისა და ერთობლივი ღონისძიებების განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, ხელს აწერენ ამ მემორანდუმს.

მუხლი 1

მემორანდუმის მიზნებია: პარლამენტის აპარატსა და უმაღლესი საბჭოს აპარატს შორის თანამშრომლობის გაღრმავება; გამოცდილების გაზიარებით, ერთმანეთთან კოორდინაციით, რესურსების გაცვლითა და ერთმანეთის ხელშეწყობით საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდა; უმაღლესი საბჭოს აპარატის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და განვითარების ხელშეწყობა.

მუხლი 2

მხარეები შეთანხმდნენ, რომ მემორანდუმის მიზნების მისაღწევად ითანამშრომლებენ შემდეგ სფეროებში:

ა) საქართველოს პარლამენტის კომიტეტების აპარატებსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომიტეტების აპარატებს შორის კანონშემოქმედებით სფეროში მჭიდრო ურთიერთობების ჩამოყალიბება და მათი გაღრმავება;

ბ) საპარლამენტო კონტროლის განხორციელების მექანიზმების გამოყენების სფეროში არსებული გამოცდილების გაზიარება;

გ) პარლამენტის აპარატისა და უმაღლესი საბჭოს აპარატის სტრუქტურულ ერთეულებს შორის ინფორმაციის გაცვლა, სამუშაოს შესრულების მაღალი სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით თანამშრომლობა, გამოცდილების გაზიარება და კონსულტაციების გაწევა;

დ) ერთობლივი სხდომების, სამუშაო შეხვედრების, სემინარებისა და კონფერენციების ორგანიზების ხელშეწყობა;

ე) უმაღლესი საბჭოს აპარატის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული ზრდის ხელშეწყობის მიზნით მათი საქართველოს პარლამენტის სასწავლო ცენტრში დაგეგმილ ტრენინგ-პროგრამებსა და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობის შესაძლებლობის უზრუნველყოფა.

მუხლი 3

მხარეები შეთანხმდნენ, რომ თანამშრომლობის მიზნით კონკრეტულ ღონისძიებებს დაგეგმავენ, ერთობლივ მოქმედებებს განახორციელებენ მათ შორის შემდგომი მოლაპარაკებებისა და კონსულტაციების გზით, მემორანდუმის პრინციპებისა და მიზნების საფუძველზე.

მუხლი 4

1. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით.
2. მემორანდუმში ცვლილება შეიტანება მხარეთა შორის შეთანხმების საფუძველზე, წერილობით და ითვლება მემორანდუმის განუყოფელ ნაწილად.
3. მემორანდუმის შეწყვეტა შესაძლებელია მხარეთა შეთანხმებით ან ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნით. ასეთ შემთხვევაში მემორანდუმი შეწყვეტილად ითვლება შეტყობინების გაგზავნიდან 1 თვის გასვლის შემდეგ.
4. მემორანდუმი შედგენილია 2 (ორ) ეგზემპლარად. მემორანდუმის თითო ეგზემპლარი ინახება მხარეებთან.

გივი მიქანაძე
საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსი

რუსთაველის გამზირი №8
თბილისი, საქართველო
ტელ.: 0322282624
ვებგვერდი: www.parliament.ge
ელფოსტა: contact@parliament.ge

მაია ხაჯიშვილი
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი

დაბა ჩაქვი, შეგენეიშვილის ქუჩა №25
ბათუმი, საქართველო
ტელ.: 0322285425
ვებგვერდი: www.sca.ge
ელფოსტა: contact@sca.ge